

შპს „ჰელიო“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ჰელიო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023 თარიღისთვის

	შენიშვნა	31-12-23 ლარი	31-12-22 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	117,177	125,497
არამატერიალური აქტივები	4	2,237	1,502
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		2,531,896	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,651,310	126,999
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,131,616	562,712
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		767,059	958,058
სხვა მიმდინარე აქტივები	6	3,024,811	1,909,397
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,923,486	3,430,167
სულ აქტივები		7,574,796	3,557,167
პასივობები			
საგადასახადო ვალდებულებები		55,986	86,115
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	259,386	272,804
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		315,371	358,919
სულ ვალდებულებები		2,900,889	358,919
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		297,958	297,958
გაუნაწილებელი მოგება		4,375,949	2,900,290
გადაფასების რეზერვი		-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		4,673,907	3,198,248
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,574,796	3,557,167

შპს „ჰელიო“-ს
დირექტორი : ლევან თურმანიძე




შპს „ჰელიო“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	8	11,637,549	11,300,146
ამონაგების თვითღირებულება		(8,131,206)	(8,290,142)
საერთო მოგება		3,506,343	3,010,004
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(979,928)	(760,762)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	(165,142)	79,711
მოგება დაბეგვრამდე		2,361,273	2,328,952
მოგების გადასახადი		(33,028)	(55,648)
წმინდა მოგება/ზარალი		2,328,245	2,273,304

შპს „ჰელიო“-ს
დირექტორი: ლევან თურმანიძე



შპს „ჰელიო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2023 თარიღისთვის

	2023 ლარი	2022 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	12,953,066	12,951,633
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(10,055,298)	(9,735,696)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(469,988)	(338,719)
გადახდილი გადასახადები	(1,596,216)	(1,184,511)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	831,564	1,692,708
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,412,444)	(6,137)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,412,444)	(6,137)
სესხის მიღება	2,531,000	
სესხისა და სესხის პროცენტის მიღება/(გადახდა)	(224,795)	-
გადახდილი დივიდენდი	(843,229)	(1,129,965)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,462,977	(1,129,965)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(117,903)	556,606
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(73,096)	(28,841)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	958,058	430,293
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	767,059	958,058

შპს „ჰელიო“-ს
დირექტორი : ლევან თურმანიძე



შპს „ჰელიო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	297,958	1,772,718	2,070,676
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		-	-
გაცემული დივიდენდები	-	(1,145,732)	(1,145,732)
პერიოდის მოგება		2,273,304	2,273,304
ნაშთი - 31.12.2022	297,958	2,900,290	3,198,248
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		-	-
გაცემული დივიდენდები	-	(852,586)	(852,586)
პერიოდის მოგება		2,328,245	2,328,245
ნაშთი - 31.12.2023	297,958	4,375,949	4,673,907

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი: ლევან თურმანიძე



შპს „ჰელიო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჰელიო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15/09/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო N51ბ. მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით.

კომპანიის წილის მესაკუთრეები 25/09/2023-მდე:

არჩილ ლობჯანიძე (პ/ნ 35001004516) – 15%

შპს თერმოინდუსტრია (ს/კ 445411484) – 70%

ვეფხვია თურმანიძე (პ/ნ 61005002865) – 15%

25/09/2023-დან კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი ხდება შპს ჰიტინგი 2023 ს/კ 402284880

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - ლევან თურმანიძე (პ/ნ 61004003603)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31-12-23	31-12-22
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში.

გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ნარჩენი ღირებულების მეთოდის

გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 8 - 10 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც

განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკა
პერიოდი 01/01/2021	1,792	7,223	8,392	3,755
შემოსვლა	229	828	-	49
ცვეთა	(257)	(1,078)	(1,678)	(466)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	1,763	6,973	6,714	3,339
პერიოდი 01/01/2022	1,763	6,973	6,714	3,339
შემოსვლა	-	39,202	96,545	850
ცვეთა	(217)	(8,820)	(20,300)	(551)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2022	1,546	37,355	82,959	3,638
პერიოდი 01/01/2023	1,546	37,355	82,959	3,638
შემოსვლა	597	17,191	-	1,797
ცვეთა	(304)	(10,507)	(16,240)	(854)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2023	1,839	44,039	66,719	4,580

4. არამატერიალური აქტივები

	(432)
პერიოდი 31/12/2021	1,767
პერიოდი 01/01/2022	1,767
შეძენა	-
ცვეთა	(265)
პერიოდი 31/12/2022	1,502
პერიოდი 01/01/2023	1,502
შეძენა	1,200
ცვეთა	(465)
პერიოდი 31/12/2023	2,237

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	1,131,616	562,712
სულ	1,131,616	562,712

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	266,503	64,942
საქონელი	2,756,435	1,842,698
საწვავი	1,872	1,758
სულ	3,024,811	1,909,397

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	254,850	151,894
მიღებული ავანსები	4,535	120,910
სულ	259,386	272,804

8. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	11,637,549	11,300,146
სულ	11,637,549	11,300,146

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	637,314	458,968
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	28,371	30,153
ოჯარის ხარჯი	43,903	118,467
საპროცენტო ხარჯი	122,597	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	147,743	153,175
სულ	979,928	760,762

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	637,314	458,968
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	28,371	30,153
იჯარის ხარჯი	43,903	118,467
საპროცენტო ხარჯი	122,597	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	147,743	153,175
სულ	979,928	760,762

10. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2023	2022
საკუროსო სხვაობა	10,725	28,141
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	154,416	(107,852)
სულ	165,142	(79,711)

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 09 ივლისს.

შპს „ჰელიო“-ს
დირექტორი: ლევან თურმანიძე

